ნელი. პირიქით, გამოთქვამდა წყნას და სინანულს ჩვენ შორის შექმნილი ვითარების გამო. ბატონი ჯერჯერობა ხშირად მეუბნებოდა: „Да, Напо, ближе вас у нас никого нет и почему к нам так агрессивно относиться! Считаете нас безродными, пришедшими незвезно откуда, тогда как ещё со времён Геродота и Страбона, наши предки _ абазги и абслы проживали здесь, а вы их считаете грузинами, тогда как грузин ещё в природе не было. А ваш Ингороква в своём лженаучном „Георги Мерчул“ пишет что в Колхиде проживали одни месхи и не было никаких абхазов. Впрочем, он не упоминает и вас, менгрелов. Так скажите нам, абхазам, где наша родина, почему обращаетесь с нами так, как-будто мы занимаем ваши, грузинские зем-

ваш современник Ингороква, Джемал Гамахария в своём объёмистом труде утверждает, что Абхазия всегда была исторической областью Грузии. Как могло это быть, когда не было единой Грузии, а Абхазия ещё в 1810 году, под протекторатом Менгрелии, ещё при императоре Александре-I вошла в состав Российской империи. Вот такова историческая правда. Мы, Абхазы, тоже читаем и хорошо знаем где правда и где ложь! Мы согласны, что наши предки не занимали такую территорию, какой является нынешняя Абхазия, поэтому согласны поделить её по Кодори или Гумисте и жить рядом с вами. Ближе вас у нас никого нет: Напо, посмотри на себя и на меня _ у нас одинаковые черты лица, цвет кожи и волос и почему мы не находим общий язык?

დამხმარებოდა, მაგრამ მან ჩემი თხოვნა არ შეისმინა და უპასუხოდ დატოვა. მითხრა, რომ ამასწინათ ესაუბრა მას და უხერხულია მისი მზუნველობა, მთხოვა ხელშეკრულების პროექტის ასლი მიმეცა მისთვის და ის გადაუგზავნიდა მას, ცოტა მოგვიანებით. სხვა რა უნდა მექნა, ვინდებ მას და მივეცი დაოკუმენტის ერთი ეგზემპლარი...

ამ დროს კარს ადევს კარგად ცნობილი რამზ სიჭინავა, თამაზ ნადარეშილის ხელისუფლების ერთ-ერთი წამყვანი პერსონა, ნადარეშილის სულიერი მეგობარი და ისიც ცნობა ამ დოკუმენტს. ეს მე ცუდად მენიშნა, მაგრამ სხვა ვამოსავალი არ მქონდა.

იმ დღესვე გამოვემგზავრე თბილისს და დილაადრიან მივაბრუნე შევარდნაძეს რეზიდენციას იმელის შენობაში. აუესხენი საქმის ვითარება შევარდნაძის აპარატის უფროსს, ბატონ პეტრე მამრაძეს და ვთხოვე მას მოეწყო ჩემი შეხვედრა ბატონ შევარდნაძესთან. დილიდან საღამომდე ვიჯექი ბატონი ედუარდის მისაღებში. ვინ არ შედიოდა და არ გამოდიოდა, მაგრამ მე არავინ მაქცევდა ყურადღებას. ასე მაყურებდა პეტრე მამრაძემ შევარდნაძის მისაღებში ორი მომდევნო დღე უშედეგოდ. მაიმედებდა, ძალიან გადატვირთულია და იგი აუცილებლად მივიღებო. არასდროს გამჭირვება აღერ მასთან შეხვედრა, ახლა კი ხდებოდა გაუგებარი რამ. მესამე დღეს, საღამოს, ტელევიზიით გამოცხადდა, რომ გალის შემოგარენში, სოფ. მახუნჯიაში პარტიზანებმა მოაწყვეს ტერაქტი, სადაც დაიღუპა აფხაზური პოლიციის შვიდი მაღალჩინოსანი. მაშინ მივხვდი, თუ რამიც იყო საქმე. ნადარეშილიმ ეს ერთ-ერთ შეხვედრაზე დიმილით მითხრა: – „მე იმ დღეს ვიყავი საქმის კურსში“. მე შეხვედრის თვალეში და ისე განვეცხადე, რომ არავფერი მიოქვამს.

აი, ასე ჩამალეს შევარდნაძის ხელქვეითებმა ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შეთანხმებები აფხაზურ მხარესთან. რა უნდა დაეარქვათ ამას, გარდა უდიდესი მადიანობისა, შემამფლობელო მადიანობისა!!!

მე ჩემს ყოველ სიტყვაზე პასუხს ვავემ!

ტერაქტის და აფხაზეთის პოლიციელების დაღუპვის გამო აფხაზეთში გამოცხადდა ერთგული გლოვა. აფხაზეთში უარი განაცხადეს ყოველგვარ შეხვედრაზე!!!

ასე იქცა ჩემსა და ჯერჯერობის შემუშავებული და ოფიციალურ სოხუმთან შეთანხმებული დეკლარაციის დაბრუნების პროექტი ფარატიანა ქალაქად და შევარდნაძემ შეუნარჩუნა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს საერთაშორისო სტატუსი. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ უმაღლეს დონეზე ადგილი ჰქონდა უარცხდენტო ლაღატს, დაეტოვე ნადარეშილის უმაღლესი საბჭო და მივებრუნე ჩემს პროფესიულ საქმიანობას.

ეს არის ქართული ხელისუფლების და აფხაზეთის ქართულ დროშასა და ლოზუნგებს ამოფარებული, ცრუ პარტიოტების საგმირო საქმეების მოკლე ექსკურსი. ყველას მოგანა ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია. მჭერა, რომ ყველა, ვინც ვაყენებამ წერილს, მიხვდებო, თუ რომელ მხარეს მიუძღვის ლომის წილი აფხაზეთის ტრაგედიასა და მის გასხვისებაში.

ნაპო მისხია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი, ნეიროქირურგის დოქტორი, პროფესორი, სამედიცინო უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
(დასასრული მორიგ ნომერში)

თუ როგორ გასსპისდა იბი



პაპა ლორთქიფანიძე და ანრი ჯერჯერობა



ბორის პასტუხოვი

განვიხილოთ ჩვენ მიერ შედგენილი აფხაზეთში დეკლარაციის დაბრუნების პროექტი. მან დაადასტურა ხელის მოწერით ეს პროექტი და თქვა, რომ თუ მივალნიეთ ამ პროექტის რეალიზებას, მაშინ ჩვენი საქმე უკეთ წავაო. ჩემს შეკითხვაზე, ეს მისი პოზიცია იყო თუ ოფიციალური სოხუმის?! მე არ დამაყალა და მითხრა: – „Вы обижаете меня, мой дорогой друг, это все согласовано с Сухуми, иначе как мог я подписать такой документ? Дай мне один экземпляр, и я его перегоню в Сухуми“.

აქ უნდა შევჩერდე აფხაზური მხარის ამ მეტად მნიშვნელოვან პერსონაზე. ანრი ჯერჯერობა იყო ვლადისლავ არძინბას მთავარი მრჩეველი და ყველაზე დაახლოებული პირი. სწორედ მასთან მიხედობდა ყველაზე უფრო ხშირად შეხვედრები და დიალოგი! ამიტომ ჩამოყალიბდა ჩვენს შორის გულახდილი ურთიერთობა და ურთიერთნდობა. ის დიდი პარტიოტი იყო თავისი ხალხის, მაგრამ ის არ იმჩნედა ქართული მხარის მიმართ იმდენ აგრესიას, როგორც აფხაზური მხარის ზოგიერთი სხვა წარმომადგე-

ლი, თუდა ჩვენი უფროსი თანამშრომლები, როგორც ბატონი ანრი ჯერჯერობა, რომლებიც ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან და ვადავლებდნენ, რომ ჩვენს მიერ შედგენილი პროექტი არაა რეალური და ვთხოვდით, რომ დაეხმარებოდნენ ჩვენს მიერ შედგენილ პროექტში. მე ვუპასუხებდი, რომ ეს პროექტი არაა რეალური და ვთხოვდით, რომ დაეხმარებოდნენ ჩვენს მიერ შედგენილ პროექტში. მე ვუპასუხებდი, რომ ეს პროექტი არაა რეალური და ვთხოვდით, რომ დაეხმარებოდნენ ჩვენს მიერ შედგენილ პროექტში.

ლევან მგალობლიშვილი: ჩვენი მთავარი პრიორიტეტია ნდობის აღდგენა!

მწარა, რომ ჩვენი ახალგაზრდების მეტი ჩართულობით და სახალხო დიპლომატიის წყალობით, მალე შევამყირებთ სოხორეს მასთან, რაც ჩვენთვის ასე ძვირფასია, – ამის შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლევან მგალობლიშვილმა საახალწლო მილოცვაში განაცხადა, რომელიც მისი „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

მთავრობის თავმჯდომარე ძირითად აქცენტს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ქვეყნის სამშვიდობო პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდაზე აკეთებს. „მოგესალმებით ძვირფასო თანამოქალაქენო, ჩემო ძვირფასო აფხაზეთელებო ენგურის ორივე მხარეს, გილოცავთ, ახალ 2025 წელს! გისურვებთ მშვიდობიან, ძლიერ და ერთიან საქართველოში ცხოვრებას. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ხელისუფლების პრაგმატული სამშვიდობო პოლიტიკის შედეგად შევძლებთ ჩვენი უმთავრესი მიზნის მიღწევას, აფხაზეთიდან ჩვენი დროებით დეკლარირებული მოსახლეობის საკუთარ სახლებში დაბრუნებას! ჩვენი ქვეყნის წარმატებულ მომავალს განათლებული ახალი თაობა ქმნის – ძალა, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს სამშვიდობო ინიციატივების

გაძლიერებაზე და ამ გზით ქვეყნის ევროპული მომავლის უზრუნველყოფაზე. სწორედ ჩვენი კონსტრუქციული თანამშრომლობით და საერთაშორისო თანამშრომლობისთან აქტიური პარტნიორობით შევძლებთ ქვეყნის იდენტობის, მრავალფეროვანი კულტურის და მდიდარი ტრადიციების გათვალისწინებით მშვიდობიან განვითარებას“ – აღნიშნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ.

„2025 წელს აფხაზეთის მთავრობის საქმიანობის მთავარ პრიორიტეტს განათლების, ჯანდაცვის, ადამიანის უფლებების დაცვის, ეკონომიკის სფეროების განვითარება, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გაღრმავება, სამშვიდობო-ჰუმანიტარული ინიციატივების განხორციელება, სამოქალაქო ინტეგრაცია, ნდობის აღდგენის მხარდაჭერა და სახალხო დიალოგისკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება წარმოადგენს. უალტერნატივოა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და აფხაზეთში აფხაზი ეთნოსის გადარჩენა, რომელიც ახლა გაქრობის საფრთხის წინაშეა, – აცხადებს ლევან მგალობლიშვილი.



ლევან მგალობლიშვილი

ზურაბიშვილს განიკარგონ ისინი, ვინც ღელს თანამებრძოლებად მიიჩნია!

მესამე გვერდიდან

რადგან ის ხელმძღვანელობდა ამ ყველაფერს და ხელმძღვანელობდა პასუხისმგებელი. ასე რომ, მას განიკარგონ ისინი, ვინც ღელს თანამებრძოლებად მიიჩნია. ამიტომ არ მგონია, რომ ზურაბიშვილმა მოახერხოს ვინმესთან კოალიციის შექმნა. თანაც, მის უკან ერთადერთი ძალა, რაც იდგა, იყო მისი თანამდებობა და ეს ძალა აღარ აქვს.



ტილებას და შესაძლოა მანაც არ იცოდეს, როგორ მოიქცევა. თუ ამ დაპატიჟებაში იგულისხმება, რომ ტრამპს სურს ამა თუ იმ პოლიტიკოსის მის გვერდით ხილვა, ეს ცალკე საკითხია, თუმცა არ მგონია, ტრამპს გვერდით სკამი მოთავსებული ჰქონდეს, რომ ამ სკამზე შემდეგ ზურაბიშვილი დასვა.

რამდენად უნდა ველოდეთ, აშშ-საქართველოს ურთიერთობების გადატვირთვას მას შემდეგ, რაც ჯო ბაიდენის ადმინისტრაციას დონალდ ტრამპის მმართველობა ჩაანაცვლებს? უნდა აღინიშნოს ტრამპის დამოკიდებულება ჩინეთთან დაკავშირებით.

რა თქმა უნდა, ძნელი სავარაუდოა გადატვირთვა, თუკი

დაპირისპირება იქნება ტრამპსა და ჩინეთს შორის და ჩინეთი გაივლის კავკასიაზე. გვახსოვს, მაშინ პომპეომ გაგვაფრთხილა, რომ აქ ჩინეთი არ შემოუშვებო. ჩინეთის წინააღმდეგ ძალიან აფოფრთხილი რომ იყო ტრამპი, ეს ფაქტია. დღევანდელი შესაძლოა ჩინეთთან დაკავშირებით პოლიტიკა ტრამპმა შეცვალოს, განსხვავებულად იყოს ნაწარმოები და არ იყოს მიჩნეული, ვინც ჩინეთს გაეკარება, ისინი დაისაჯონ. თუკი ისე მოხდება, რომ ჩინეთი და ამერიკა ერთმანეთს კი არ დაანგრევენ, გადაინაწილებენ მსოფლიოს ქვეყნებს, მაშინ ჩვენ შეიძლება გადავრჩეთ.

რუსეთი თანდათან კარგავს მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პოლუსის სტატუსს და მდგომარეობას, დაახლოებით, ჩრდილოეთ კორეის დონეზე რჩება და ჩინეთის თემა მოდის წინ. თუ ამერიკა თავიდან აირიდებს ჩინეთთან დაპირისპირების შესაძლებლობას, სავარაუდოა, რომ ეს ჩვენზეც აისახოს, მაგრამ როგორ აისახება, ამის პროგნოზირება ჯერჯერობით ძალიან ძნელია.

შეიძლება საქართველომ და, ზოგადად, კავკასიამ მოახერხოს ორივეს ინტერესი – აშშ-ს და ჩინეთის – დაკმაყოფილებული იყოს კავკასიის ამ დერეფნით და რომელიმეს მოგება-ნაგებობა არ იყოს საუბარი, მაშინ ეს ჩვენ გადაგვარჩენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ისევ რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ასე რომ, გადატვირთვის მსურველი ამ შემთხვევაში ორივე მხარე უნდა იყოს.

ნიკო ჩოხელი

საქართველოდან უხმო ქვეყნის 91 მოქალაქე გააძევეს

შონაზან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტმა, მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეებში სხვადასხვა ქვეყნის 91 მოქალაქე ქვეყნიდან გააძევა.

უწყების ინფორმაციით, გაძევების პროცედურის ფარგლებში, ნაწილმა საქართველო ნებაყოფლობით დატოვა, ნაწილი კი მიგრაციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად იძულების წესით იქნა გაძევებული საქართველოდან.

შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, ნოემბერ-დეკემბრის თვეებში ქვეყნიდან გაძევებულ იქნენ ირანის, ალჟირის, ინდოეთის, მაროკოს, შრი-ლანკის, ეგვიპტის, პაკისტანის, ნიგერიის, ერაყის, თურქეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, თურქმენეთის და სხვა ქვეყნების მოქალაქეები.

გაძევებულ პირთა შორის, რომელთა მიმართაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტში დაინციო გაძევების პროცედურა, არიან უცხო

ქვეყნის ის მოქალაქეები, რომლებიც მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში, თბილისში მიმდინარე აქციებში მონაწილეობდნენ და სასამართლოს მიერ შეეფარდათ სხვადასხვა ადმინისტრაციული სახდლები – ჯამში 25 პირი. მათგან 10-მა უცხო ქვეყნის მოქალაქემ უკვე დატოვა საქართველოს ტერიტორია.

მიგრაციის დეპარტამენტმა, 2024 წლის მონაცემებით, საერთო ჯამში ქვეყნიდან 430 უცხო ქვეყნის მოქალაქე გააძევა, რაც 126% -ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი წარმოადგენს ქვეყნის შიგნით უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელ ორგანოს. მის მთავარ კომპეტენციას წარმოადგენს საქართველოში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების გამოვლენა და საქართველოდან გაძევება.

რობერტ ფიცო კიავს ემუქრება

სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრის რობერტ ფიცოს განცხადებით, მისი მთავრობა განიხილავს ზომებს უკრაინის მიერ რუსული გაზის ტრანზიტის შეწყვეტის საპასუხოდ – უკრაინული მფლობელების ცნობით, ამის შესახებ ფიცომ სოციალურ ქსელში გავრცელებულ მიმართვაში განაცხადა.



მისი თქმით, უკრაინის გავლით რუსული გაზის ტრანზიტის შეწყვეტა „ზელენსკის დივერსიაა“ და რომ ამის გამო მისი ქვეყნის ბარალი წელიწადში 500 მილიონ ევროს შეადგენს.

მან დაადასტურა, რომ სლოვაკეთის მთავრობის წარმომადგენლები მომავალ სამუშაოს ბრუნვაში ტრანზიტის შეჩერების საკითხს განიხილავენ. სლოვაკეთის პრემიერის თქმით, მისი ქვეყნისთვის ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი არის გაზის ტრანზიტის აღდგენა ან კომპენსაცია თითქმის 500 მილიონ ევროს დანაკარგისთვის.

ბრიუსელში მოლაპარაკებების შემდეგ სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი კოალიციური საბჭოს მონაწილეს გეგმავს, რის შემდეგაც მინისტრთა კამინეტის სხდომა გაიმართება, რომელზეც კოალიციის პარტნიორები შესაბამის ზომებს განიხილავენ.

„პარტია Smer-SD-ის სახელით ვაცხადებ, რომ მზად ვართ, კოალიციაში მოლაპარაკება ვაწარმოოთ და შევთანხმდეთ ელექტროენერჯის მინორების შეწყვეტაზე

და სლოვაკეთის ტერიტორიაზე მყოფი უკრაინის მოქალაქეების მხარდაჭერის მნიშვნელოვან შემცირებაზე.“ – აღნიშნა ფიცომ.

ევროპაში გაზის ფასი კავსტროფულად მატულობს!

სააგენდო „მლუმბერგე“ გაზის გაძვირებას სამი ფაქტორის კომბინაციით ხსნის. პირველ მიზეზად ევროპაში რუსული გაზის ტრანზიტის შეჩერება დასახელდა. მეორე მიზეზი არის ის, რომ ნორვეგიის ქალაქ ჰამარფსენში თხევადი ბუნებრივი აირის ქარხანამ კომპრომისის გაუმართაობის გამო მუშაობა 9 იანვრამდე შეაჩერა. მესამე ფაქტორად კი ჩრდილოეთ ევროპაში ცივი ამინდი სახელდება, რამაც გაზის მოხმარება რეგიონში გაზარდა.

მწარლის ხელხმაში საუბარო აკიდო

3066 ჩვენი გაზეთის აქტიური მკითხველია, წლების განმავლობაში აუცილებლად მიაქცევდა ყურადღებას ჯამბურ სარდლიმ-შილის პუბლიცისტურ ნააზრევს, რომელიც, გვარის შესაბამისად, თითქოს ბრძენი მხედართმთავარივით გადაწყურებს ბრძოლის ველს და სამშობლოს თანამედროვე სატყუარის პირუთვნელად ამსახველ სტრატეგებს – პროფესიული ოსტატობით ანდობს საუკუნოვანი გამოცემის – „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებს.

რომ გვეგონა, სასურველი ძველი კოლეგა და მეგობარი მორიგი აქტუალური წერილით შეიარაღებული გვეწვია, აღმოჩნდა, რომ თურმე შობა-ახალი წლის წინ მისთვის გზა ახალ ასპარეზზე უნდა დაგველოცა, თანაც ერთბაშად, როგორც ორი ლიტერატურულ-შემოქმედებითი ჟანრის ნაწარმოების ავტორისთვის.

სამისოდ გამოცდილმა კალმოსანმა ორიგინალურ ხერხს მიაგნო – უარი თქვა ტრადიციულ წინასიტყვაობასა თუ ერთ შემთხვევაში სარჩევზე და სათქმელზე პირდაპირ გადავიდა, რითაც, უპირველესად წიგნიერი საზოგადოება რჩება მოგებული, რადგან ინტერტა ბოლომდე უკვდავია და ერთი ამოსუნთქვით გადიხარ ფინიშზე.

მსაც მიმართავენ პერიოდულად. სად წყვილია და სად ნათელი, სად სიმართლეა და სად – სიცრუე, როდესაც ვიღაც ცდილობს ავიხსნას, თვალეგს ხუჭავ და ყურებს იყრებ...

არანაკლებ მრავლისმთქმელია შემდეგი სტრატეგები:

სიჩუმე, როგორც სიყარაილე... აქ ყოფნას, იქნებ, არც ჰქვია ყოფნა?

უზარმაზარი სათამაშოები აღადამიანებს თავზე დაჰყრია.

პოეტური კრებულის ბოლო ლექსში, რომელსაც „სადიდებელი“ ჰქვია, ჯამბურ სარდლიმ-ვილი გულწრფელად გვიმხელს თავისი სულის განწყობას:

საკუთარ თავთან საუბრები ხვედრია ჩემი, სადაც მივიღვარ, მსურს თუ არ მსურს, ცხოველს მივართევ, ცხოველების სარკე მატერის საზღვრებს ვერ სცდება, მხოლოდ სინდისთან კამათში ჩანს ჩემი სიმბაღე... მამის ძალას ვგრძნობ, სისხლში გამჭადარ ნიჭის სილაღეს, გულისფიცარზე გაშიშვლებულ

საბას სრამლევი

ჯამბურ სარდლიმ-ვილი

საბას სრამლევი (გამომცემლობა „მერიკა“). რედაქტორები – ანდრო გელუპაძე და სულმანაი თამაზ ტყეშელაშვილი, დიზაინერი – გიორგი ჯაფარიძე.

ეს გახლავთ ერთ მძივად აკინძული წინაპართა ხალხური სიბრძნე, მარად რომ გვეხმარება ჭეშმარიტების შეცნობაში და სწორი გადაწყვეტილების მიღებას გვიადგამს. დიხა, ალბათ რამდენჯერ გვსმენია ცხოველებისეული მიკროისტორიების, გაუხუნარი მახვილსიტყვაობის შესახებ, მაგრამ ამ წიგნიდან მანაც გვერ ახალს ვიგებთ. მართლაც, სიცრუის სიბრძნე უკვდავია და თანამედროვე საბას გულწრფელი ცრემლებიც...

მსხვერპლი (გამომცემლობა „მერიკა“). რედაქტორი – ნათია მორჩაძე. ამ პოემაში, ერთი შეხედვით, დღევანდელი მისი ხიბუხიუხი შესტყდებიან პერსონაჟები, სამისოდ კი მისტიკასა თუ ურჩხულე-

ფუნჯს დავაჭენებ; მეც მიხდა შევქმნა ქალისგან ჩემი სამყარო, თავს, ერთხელ მაინც, უკვდავების მივცე უფლებმა და არ ვიცოცხლო იმიტომ, რომ ბოლოს დამმარხონ!..

მოკლედ, ძვირფასო ბატონო ჯამბურ! უდიდესი ადამიანური ფუფუნებაა საკუთარი გრძობის საჭეთმპყრობელი გახდეთ და საკუთარი თავისუფლება საკუთარი ნიჭით გამოძერწეთ. „საბას ცრემლები“ მცირე პროზის შესანიშნავი ნიმუშია, „მსხვერპლი“ კი ადამიანური სამღერავისა და ზნეობრივი სიმაღლის ჭეშმარიტი საგალობელი.

ეს ორი და სხვა მრავალი, გილოცავთ 2025 წლის შემობრძანებას და სამშობლოს გამოთლიანება-გაერთიანებას გისურვებთ!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის სახელით გია პლატონიშვილი

პური ჩვენი არსობის

წერილი 2

მაკარონის წარმოება საქართველოში

მაკარონის წარმოების კონსერვს წარმოადგენს, რომელიც მზადდება ხორბლის ფქვილისა და წყლისგან, ზოგჯერ მას სხვა ნივთიერებების სახით უმატებენ გამამდიდრებლებს – კვერცხს, ხორბლის წებოვანადას. მაკარონის წარმოება უკვე ადრეული უკაცია ფქვილსა და პურს შორის, რადგან ცხიმის მოშავადების სტადია უკვე გავრცელებულია და საკვებად გამოყენების მიზნით მას სჭირდება ხანმოკლე ხარშვა. ამიტომაც სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით



იგი მნიშვნელოვანი პურპროდუქტების შემადგენელი ნაწილია.

მსოფლიოში ბევრს საუბრობენ მაკარონის წარმოების შესახებ, ზოგიერთი მიიჩნევს რომ მისი სამშობლო ჩინეთია, უმეტესობას მაინც რომ მაკარონის სამშობლო იტალიაა. დღეს იტალიური მაკარონი საუკეთესოა და მთელ მსოფლიოში მოთხოვნილია. არსებობს ასეთი ისტორია: იტალიაში ერთ-ერთი ტავერნი მუშატრონის ქალიშვილი პატარა ბავშვთან თამაშობდა სარეცხის თოკზე ჩამოკიდებული ცომისაგან დაზოგული გრძელი მილებით. ამბობენ, რომ სწორედ ტავერნის მფლობელი გახლდათ მაკარონის ავტორი, რომელმაც გააშრო და მოხარშა ეს ცომი და პოპულარობა მოუხვეჭა ამ პროდუქტს. ეს კაცი **მარკო არონი** გახლდათ (გზარული წარმოშობის იტალიელი). მეორე ვერსიით მაკარონის სახელწოდება რომელიმე კარდინალს ეკუთვნის, რომელმაც ასეთი ცომი დაინახა მავიდაზე და შეჰვიკვლა „ო-მაკარონე!“ იტალიურად ნიშნავს „ო, რა შესანიშნავია“.

მესამე ვერსიით მაკარონის სამშობლო ჩინეთია. იქ მას ბრინჯის ფქვილისაგან ამზადებდნენ. არის ვერსია, რომ XIII საუკუნეში ბერძენმა მზარეულმა დაამზადეს მაკარონი. პირველად მაკარონი გვიგუნდა ცნობილ ნაწარმოებში „დეკამერონი“, რომელიც იტალიელი მწერალის ჯოვანი ბოკაჩოს ეკუთვნის. დღეს იტალიაში მაკარონს ყველაზე წერილ მიღებს ემილიან, საშუალო ზომის უნოდებენ „მეცო ციტას“, ყველაზე სქელს კი – „ციტას“.

XIX საუკუნეში ერთ-ერთ უფროსს ნერდინენ, რომ ცნობილი კომპოზიტორი **როსინი** მაკარონის უბადლო მოზადების ისტორია იყო, ხოლო ცნობილი იტალიელი მხატვარი **სოფი ლორენზა** 1972 წელს მთელი წიგნი მიუძღვნა მაკარონის რეცეპტებს და ამ წიგნს „მეტიის რეცეპტები უნდა“. წიგნმა მთელს მსოფლიოში გაიტეჯა სახელი. განსაკუთრებულია მსახიობის რეცეპტი – „მაკარონი პომიდვრის სოუსით“.

ძალიან საინტერესოა საქართველოში მაკარონის წარმოება და მასთან დაკავშირებული საკითხები.

მაკარონის ქარხანა 1937-38 წლებში იქნა აშენებული ნავთიულის, სამგორის ქუჩაზე, რომელიც აწარმოებდა მაკარონსა და ვერმიშელს – 15-20 ტონას. მისი პირველი დირექტორი უადრესად განათლებული ინჟინერი **ალექსი ჭიჭიძე** გახლდათ.

1937 წელს ქარხნის კოლექტივი 7 ნოემბრის ადღეს მონაწილეობდა, მოხდა სრულიად კურიოზული ფაქტი – ქარხნის მანქანას ტრიბუნის წინ საბურავი ჩაეფუშა, ეს ფაქტი შეფასებულ იქნა როგორც მავნებლობა. ალექსი ჭიჭიძე დააპატიმრეს და ციხეში მოაშინებინეს. უმძიმესი წლები გაატარა მან გადასახლებაში. ძალიან რთული იყო თავის

გატანა, მაგრამ ალექსიმ ამას სასწაულებრივ გაუძლო და დაბრუნდა საქართველოში. ალექსი ჭიჭიძის დამთავრებული ჰქონდა ლენინგრადის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, მასთან ერთად ჯგუფში სწავლობდა, შემდგომში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსეი კოსიგინი, რომელმაც თბილისში ყოფნისას მოიკითხა ყოფილი თანაკურსელი და მეგობარი ჭიჭიძე, შევარდნაძემ მაშინვე მოძებნა ალექსი ჭიჭიძე და „საქურმრეწვის“ დააწყებინა მუშაობა, სადაც გავიცანი კიდევ ეს შესანიშნავი, განათლებული, ძვირფასი კახელი კაცი, წარმოშობით ხაშშიდან.

1990 წელს თბილისში მაკარონის ქარხნის დირექტორი გახლდათ ახალგაზრდა, ძალზე საინტერესო პიროვნება **გია სიხარულიძე**, რომელმაც მოინდომა ქარხნის გადაბრუნება. ამისთვის საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტრომ (მინისტრი გახლდათ რეინკონი) მოსკოვში მიავლინა „საქურმრეწვის“ მაშინდელი მთავარი ინჟინერი **იური ოსიაოვი**. სადაც მიმდინარეობდა დანადგარების გამოფენა, წარმოდგენილი იყო მშენებარეული ფორმა „მინეოს“, სპაგეტის შესანიშნავი მაკარონის წარმოების მთელი ხაზი. სულ 9 თუ 10 ასეთი ხაზი იყო გამოფენილი განაწილებული სხვადასხვა რესპუბლიკაში. დიდი მონდომებითა და მეცადინეობით იური ოსიაოვი შეძლო, ერთი ხაზი საქართველოში ჩამოეტანა.

როდესაც ეს ხაზი ჩამოეტანეს, მაკარონის ქარხანაში ის ვერ დაეტია. **გია სიხარულიძე** ძალიან დანაშაული, მაშინ სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ახალაშენებულ თემის პურის №8 ქარხანაში, ცალკე სააბრუნო დაემონტაჟებინათ ეს დანადგარი, რომელიც სპაგეტის ტიპის მაკარონს აწარმოებს. ხაზს ემსახურება სულ 2-3 კაცი, რადგან ყველაფერი ავტომატიზირებულია. მოგვიანებით ამ ხაზს შესაფუთი მანქანაც დაემატა. აღსანიშნავია **იოსებ კუხიანიძის** (თემის პურის ქარხ. დირექტორი) და **ჯუღოლოთაძის** დიდი ღვაწლი დანადგარის დამონტაჟებიდან შპს პროდუქციის გაშვებამდე. უნდა აღინიშნოს ერთი უცნაურობაც – მიუხედავად ასეთი დანადგარისა, ქართულ ჯარს და მრავალ ორგანიზაციას უცხოეთიდან შემოტანილი მაკარონს აწვდიდნენ, რაც მართებული არ იყო. ფაქტია, რომ დროს ხელშემწყობი ღონისძიებები არ გატარებულა.

2007 წელს თბილისში ავროპორტის გზაზე, ერთ-ერთ ნისქვილში მაკარონის მარტივი დამამზადებელი დანადგარი დამონტაჟეს. ასეთი დანადგარები ირანში და აღმოსავლეთის სხვა მრავალ ქვეყანაში გახსოვთ, როგორც დრო იყო – მიიწვიეს მაშინდელი პრეზიდენტი **საკაშვილი** და გამოაცხადეს ტელევიზიით – საქართველოში პირველად დაინახა მაკარონის წარმოება და დასაქმდა 1500 ადამიანი, რაც არ შეესაბამებოდა სიბერტლეს, თუმცა მაშინ ასე აზიარებდნენ ყველაფერს. ამ ცრუ განცხადებამ და პრეზიდენტის მაქიაობამ აღმამბუთოდა და ვაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დავეწერე წერილი სათაურით –

რა უნდა გააკეთოთ, რომ ოჯახში კეთილდღეობა და სიბოძირე გაქონდეთ

შობა ქრისტიანულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და გამორჩეული დღესასწაულია. უსთავარი დროიდან ჩვენი წინაპრები ამ დღეს განსაკუთრებული სიხარულითა და პატივისცემით აღნიშნავენ და გარკვეული წესებით შეიმუშავეს, რომელთა დაცვითაც ფიქრადნენ, რომ ოჯახში დიდ სიკეთეს, სიმშვილესა და სიყვარულს შეიტანდნენ.

სადღესასწაულო სუფრაზე ხშირად ათავსებდნენ მოციქულთა რაოდენობის კერძს, ანუ სუფრაზე 12 კერძი იყო. ამ დღეს უარს ამბობდნენ ხორცის, ზედმეტად ცხიმოვანი საკვების მიღებაზე. გარდა ამისა, არ იყავდნენ შავ ტანსაცმელს და არც სუფრის გასაფორმებლად იყენებდნენ შავ დეკორს. თეთრი სუფრა და ღია ფერის სამოსის არჩევა ამ დღისთვის იდეალურია, რადგანაც თეთრი სინამდის, სისუფთავის ფერია.

აუცილებლად საფუძვლიანად დაასუფთავეთ სახლი, წინასწარ მოამზადეთ სუფრა გასამლოცად, ჩამოკიდეთ სხვადასხვა დეკორაციები, მოაწესრიგეთ ნივთები. შობის ღამეს სახლის დალაგება არ შეიძლება. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ძველი და არასაჭირო ნივთი სახლიდან გაიტანოთ.

ამ დღეს რეკომენდებულია, ნაძვის ხის თავზე ვარსკვლავი მოათავსოთ და თუ შესაძლებელია, გაანათოთ. სანთლები ამ დღესასწაულის

„მაკარონი – ვერმიშელი უმუშვერობას ვერ უშველი“, რაზეც მწარედ მომხვდა კიდევ.

საკონდიტრო წარმოება საქართველოში

საკონდიტრო, ანუ ტკბილეულის წარმოების განვითარებას თუ თვალს გადავაგვლებთ, იგი



შორეული წარსულიდან მოდის და აღმოსავლური გავლენებით გამორჩევა.

ვაზეთში გამოქვეყნებულ წინა წერილში, რომელიც საქართველოში პურპროდუქტების წარმოებას ეხებოდა, აღვნიშნეთ, რომ ვეროპელი მოგზაური მარდენი XV საუკუნეში განმარტავს – პურთან ერთად სუფრაზე ტკბილი პური ვიხილეო, ანუ „ნაზუქი“. შეგახსენებ ქართულ ფილმსაც – „მაია წყნეთელი“, სადაც მეფესთან სტუმრობისას მაიას პატარა კახი მაქარაყინულს მიანვდის და როგორი ემოცია-რეაქცია აქვს ამ გმირს. მაქარაყინულიც იმ დროისთვის ძალიან პოპულარული და ერთობ ძვირი ნუგბარი იყო.

ძალიან საინტერესოა ფელაძეებისა და თათარის დამზადება, იგი ყურძნის ბადავისა და ფეჭილი მარცხელი ტკბილეულია. მისი მსგავსი ნუგბარი სხვა ქვეყანაში არ გვხვდება.

ჩვენში ტკბილეულის სერიული, საქარხნო წესით წარმოება დაკავშირებულია პირველი გერმანელი კოლონისტების შემოსვლასთან. წარმოადგენს, 1860-70 წლებში თბილისში იყო მეფეთუხუცეთა გილდია, რომელსაც გერმანელი კოლონისტები უძღვევდნენ. ყოფილი პლენხაივის, უფრო ადრე მიხეილის პროსპექტზე და მარჯანიშვილის ქუჩაზე შემთხვევითი კი არ ვახლოვთ ყოფილი საკონდიტროების გაჩენა. მათ დანიშნულ „რულისა“, „გალეტის“ და მისკეტებზე დამზადებული კრემიანი ნამცხვრების წარმოება, რომელიც მაშინდელი თბილისელებს ძალიან მოსწონდა და პოპულარული იყო. გასული საუკუნის 30-40-იან წლებში გაჩნდა მკირე ზომის საკონდიტრო საცხობები. უფროსი თათის ადამიანებს ახსოვთ ტკბილი კვერი და „სლოიკა“, ორცხობილა, მაქარაღამა, „კულირი“ და „კექსი“. იზრდებოდა ასორტიმეტი და საკონდიტრო ნაირსახეობა. გაჩნდა საფუძველზე საცხობები და „საპონიკეები“, რომელიც დიდი მონონებით სარგებლობდა. თბილისში უამრავი კაფე გაიხსნა, სადაც ძირითადად ტკბილეული, პურფუნიანული იყიდებოდა და ძალზე პოპულარული იყო. ამგვარი კაფეები მრავლად იყო დედაქალაქის სხვადასხვა უბანში.

1958-60 წლებში თბილისში ხომარაულის ქუჩაზე მწყობრში ჩადგა საკონდიტრო კომბინატი „შიორი“ – წლიური წარმოება 12,5 ათას ტონა, რომელსაც სათავები ჩაუდგა **კონსტანტინე თარხნიშვილი**, მან საკონდიტრო ნაწარმის თითქმის ყველა სახეობას – კერძოდ, კანფეტისა და შოკოლადის წარმოებას ქართული სახელმძღვანელოც მიუძღვნა. ეს წარმოება პროდუქციას ავზავნიდა მეგობრულ რესპუბლიკებში და მაშინდელ რუსეთის ფედერაციაში. საქართველოს მაშინდელ

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფუნქციონირება დაიწყო შესაბამისმა ფაკულტეტმა, რომელიც ზოგადი ქიმიის ფაკულტეტზე დაინერგა. მას ჯერ „გემო კვების“ ფაკულტეტს უწოდებდნენ, შემდგომ კი მისი სტუდენტები ზოგადი ქიმიის და კვების მრეწველობის ინჟინერ-ტექნოლოგები გახდნენ. ამ ფაკულტეტზე ასწავლიდნენ თორნიკე ლალიძე, კოსტია ივანოვი, კონსტანტინე თარხნიშვილი, პროფესორი

რევაზ იაშვილი, პროფესორი **კ. გაგნიძე** და პროფესორი არჩავაძე, „ცნობილი ქიმიკოსი ნოლაიდელი, კანდელაკი, ცინცაძე“.

გაჩნდა ასეთი სპეციალობა – პურის, მაკარონის და საკონდიტრო ნაწარმის სპეციალისტები. ამ ფაკულტეტის პირველი კურსდამთავრებულნი იყვნენ **ჯემალ კალანდიაძე** და **ზაურ ლეყავა**, რომლებიც ჯერ პურპროდუქტების მოღვაწეობდნენ, შემდგომ კი ცხიმკომბინატის დირექტორი და მთ. ინჟინერი გახდნენ, **იური ოსიაოვი** – პურპროდუქტების მინისტრის მოადგილე, **გივი გვ**

ლენიძე – კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე, რომელიც ჯერ ინსტიტუტში დარჩა და ლექციები კითხულობდა, შემდგომ კი ერთ-ერთი ძლიერი მინისტრის მოადგილე იყო.

ლევან ჯიბუტი – პურპროდუქტების ინსპექციის უფროსი, **ოზარ კაჭარავა** – თბილისის გენერალური დირექტორი, ტექ. მეც. დოქტორი, **გოგი ნიჭაძე** – საკონდიტრო კომბინატის დირექტორი, ტექ. მეც. დოქტორი, **ოზარ მგვარდიაძე** – საკონდიტრო კომბინატის მთავარი ინჟინერი, **ვიკა კბილაშვილი**, **გურამ მგვლაძე**, **რევაზ ოშიაძე** და სხვები, რომლებმაც თავისი შრომითა და მონდომებით კვალი დატოვეს კვების მრეწველობაში.

1968 წ. საკონდიტრო ქარხანა გაიხსნა ქუთაისში – დირექტორი **დ. ხურციძე**, რომელიც უმაღლესი დონის საკონდიტრო ნაწარმს უშვებდა, თბილისში ფუნქციონირებდა ყველა-სათვის ცნობილი საკონდიტრო „ფრანკია“, ტიპური (ერთნაირი არქიტექტურით, ასე შენდებოდა სოციალიზმის დროს) საკონდიტრო საცხობები ამენდა და გაიშვა საბურთალოზე, არდონის ქუჩაზე და 31-ე ქარხანასთან, ხელმძღვანელები **გივიტო მგრიძე** და **ლევან ნინუა**, ცნობილი კონდიტრები **ილო კირვალაძე** და **საცხობი** გახსნა გლდანში.

ნავთიულის ბაზრის მიმდებარედ 1969 წ. ამუშავდა მარმედალის ქარხანა. არდონის ქუჩაზე ბლოთების („ბუბლიკების“) ქარხანა ფუნქციონირებდა 1965 წლიდან, ხელმძღვანელი – **ვიკა ჩხვიძე**.

სამშენებლო, დღეს საკონდიტრო წარმოებამ უფრო წერილი წარმოების სახე მიიღო, გაჩნდა ცნობილი სახელები „მელას“ საცხობი, „ანტრეს“ საცხობი, „მადარტი“, „ლიკას“ საცხობი, გაიზარდა საკონდიტრო საწარმოებსა და პოპულარული საცხობებს შორის კონკურენცია, დაინერგა თანამედროვე ხედივები, გაჩნდა ინტენსიური ტექნოლოგიები, წინ წამოინია დანამატების თემატაც, თუმცა მთლიანობაში დარგს მკერი პროფესიონალური მიდგომა და მკერი ყურადღება სჭირდება, რადგან მნიშვნელოვანია დარგის ხელშემწყობი ღონისძიებები და სასურველია, დარგში აქცენტი იყოს აღებული განათლებულ ადამიანებზე, ვისაც შესაბამისი ცოდნა ექნებათ და არა მოყვარულთა დონეზე გაავრცელებენ მუშაობას.

მაღსახე დოლიძე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პურის მრეწველობის განვითარების თავმჯდომარე.

მნიშვნელოვანი ატრიბუტია. ამიტომაც ანთათ მევრი სანთელი, მოათავსეთ მაგიდაზე, ნაძვის ხესთან და მყუდრო გარემო შექმენით. გამოიყენეთ დეკორატიული ვერსიაც და სახლი გააფორმეთ. ასევე, თუ გაქვთ შუშის, ხის ფარანი, ისიც შეგიძლიათ გაანათოთ...



გზამკვლევი

პირველი ერთხელ – მაშინ, როდესაც გასულ 2024 სპორტულ წელს ქართველი ათლეტთა ისტორიული მიღწევებისათვის, მგრამ, ჯვაროსანთა ოლიმპიური სლოგანისა არ იყოს, დარწმუნებულნი ვართ, მომავალი სეზონის ფინიში უკეთესი შედეგების სადიდებელს დავაგვიგუნებთ, საამისოდ კი, მოდით, სავარაუდოდ წარმატებათა კალენდარს გავხელოთ.

იანვარი

10-12. ციგურებით რბენა. ევროპის ჩემპიონატი. ნიდერლანდები.

12-26. ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. მელბურნი.

12-10. თებერვალი. ფეხბურთი. ამის თასი. ყატარი.

14-2. თებერვალი. ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები. ხორვატეთი, დანი, ნორვეგია.

28-2. თებერვალი. ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ტალინი (ესტონეთი).

თებერვალი

4-16. სამთო თხილამურები. მსოფლიო ჩემპიონატი. შვეიცარია (ავსტრია).

9. ამერიკული ფეხბურთი. სუპერბოული. აშშ.

10-21. ჰოკეი. ნ.პ. 4 ვარი. კანადა, აშშ.

12-23. მიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. გრისონსი (შვეიცარია).

16. კალათბურთი. ნ.პ. ყველა ვარსკვლავის მატჩი.

26-9 მარტი. სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ნორვეგია.

აპრილი

6-9. მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (დარბაზში). ნიდერლანდები.

16. რაგბი. ევროპის ჩემპიონატი. ფინალი.

უკეთესი, პიჯრე პარპან



18-19. ციგურებით რბენა. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი.

18-30. ფრისტილი, სნოუბორდი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვეიცარია.

21-23. ძიუდო. გრანდ სლემი. თბილისი.

21-23. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (დარბაზში). ჩინეთი.

24-30. ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბოსტონი (საფრანგეთი).

აპრილი

7-13. ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი. სლოვაკეთი.

15-18. კალათბურთი. ნ.პ. პლეინის ტურნირი.

23-27. ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. პოდგორიცა (მონტენეგრო).

მაისი

1-11. პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეიშელები.

9-25. ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი, დანი.

9-1 ივნისი. ველოსპორტი. ჯიროდი იტალია.

17-25. მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ყატარი.

19-1 ივნისი. ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17 წ.). ალბანეთი.

21. ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. ბილბაო (ესპანეთი).

23-25. ფეხბურთი. ქალები. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ლისაბონი (პორტუგალია).

25-8 ივნისი. ჩოგბურთი. როლან გაროსი. პარიზი (საფრანგეთი).

26-31. სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია.

28. ფეხბურთი. კონფედერეს ლიგა. ფინალი. ვროცლავი (პოლონეთი).

31. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მიუნხენი (გერმანია). იშტიონი

4-8. მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ესტონეთი.

5. კალათბურთი. ნ.პ. ფინალის სტარტი.

8. ფეხბურთი. ერთა ლიგა. „ა“ დივიზიონი. ფინალი.

11-28. ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (21 წ.). სლოვაკეთი.

13-20. ძიუდო. მსოფლიო ჩემპიონატი. ბუდაპეშტი (უნგრეთი).

13-26. ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19 წ.). რუმინეთი.

14-6 ივლისი. ფეხბურთი. კონკაკაფის ოქროს თასი. აშშ, კანადა.

14-13 ივლისი. ფეხბურთი. საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ.

14-19. ფარიკაობა. ევროპის ჩემპიონატი. იტალია.

18-29. კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. იტალია.

23-29. 3-3-ზე კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონაკო.

26. კალათბურთი. ნ.პ. დრაფტი.

30-13 ივლისი. ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი (ინგლისი). იშტიონი

2-27. ფეხბურთი. ევრო - 2025. ქალები. შვეიცარია.

5-27. ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. საფრანგეთი.

11-3 აგვისტო. საწყლოსნო სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი. სინგაპური.

20-30. ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. საქართველო.

სექტემბერი

20-24. მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრაზილია.

22-7 სექტემბერი. ფრანგურთი. ქალები. მსოფლიო ჩემპიონატი. ტაილანდი.

22-27 სექტემბერი. რაგბი. მსოფლიო თასი 2025. ქალები. ინგლისი.

25-7 სექტემბერი. ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ნიუ იორკი.

27-14 სექტემბერი. კალათბურთი. ევრობასკეტი 2025. კვიპროსი, პოლონეთი, ფინეთი, ლატვია.

29. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ძირითადი ეტაპის წილისყრა. საქართველო.

4-14. კრიგი. მსოფლიო ჩემპიონატი. ლივერპული (ინგლისი).

12-28. ფრენბურთი. კაცები. მსოფლიო ჩემპიონატი. ფილიპინები.

13-21. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.

13-21. ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ხორვატეთი.

16-21. პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (21 წ.). საქართველო.

21-28. ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. რუანდა.

27-19 ოქტომბერი. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20 წ.). ჩილე. საქართველო

15-19. ველოსპორტი (ტრეკი). მსოფლიო ჩემპიონატი. სანტიაგო (ჩილე).

19-25. სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. ინდონეზია.

22. კალათბურთი. ნ.პ. რეგულარული სეზონის სტარტი. ნ.პ.ჩემპიონატი

1-8 ჩოგბურთი. ქალთა სეზონის ფინალი. რიადი (საუდის არაბეთი).

9-15. ჩოგბურთი. ვაჟთა სეზონის ფინალი. ტურინი (იტალია).

14-23. პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალია.

27-14 დეკემბერი. ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. გერმანია, ნიდერლანდები.

28-30. ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. ბოლონია (იტალია). დ.პ.ჩემპიონატი

21-18 იანვარი. ფეხბურთი. აფრიკის თასი (მაროკო).

22. ფეხბურთი. მუნდიალი - 2026. ფინალური ტურნირის წილისყრა. აშშ.

კარატი

4 მედალი ქვეყნიდან



2024 წლის სპორტული სეზონის მიწურულს ქართველმა კარატისტებმა უნგრეთის ქალაქ ვეგრში გამართულ ყოველწლიურ საერთაშორისო ტურნირზე ოთხი მედალი (1 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო) მოიპოვეს. საქართველოდან შეტერებში მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონმა, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა, შავი ქაშის V დანის მფლობელმა ზაზუნა მანარაძემ და მისმა შვირდამ, 12 წლის ანდრეას სანტაშვილმა იასპარავეს.

რინგზე

...ქინოეკრივი ბატონილდარის

რამდენიმე დღე და თეთრი სახლის ოგალურ კამინეტს ამერიკის 44-ე და უკვე 46-ე პრეზიდენტი დაუბრუნდება.

შევსებს ალბათ არც მოეხსენება, რომ შტატების პოლიტიკური მწვერვალის დაპყრობამდე დონალდ ტრამპმა სპორტშიც გამოავლინა ბიზნესმენის ალლო, თუმცა მთლად ია-ვარდით მოყვნილი არც აღნიშნული ასპარეზი ყოფილა.

კერძოდ, ამ თემაზე საუბრისას ვგულისხმობთ გლაზგო რეინჯერსის შექმნის ჩაშლილ მცდელობას, აგრეთვე ველოსპორტსა და ამერიკულ ფეხბურთში ნარუმატებლად ჩადებულ ინვესტიციებს, მგრამ მოსახლენი მაინც პროფესიულ კრივიში მოხდა.

დიახ, სწორედ მის სახელს უკავშირდება 18 წლის რინგის გენიოსის მაიკ ტაიმონის აღმოჩენა, რომელსაც თავისი ახლო მეგობრის დონ კინგის სახით ახალი პრომოუტერი მიუჩინა ბილ კეიტონის ნაცვლად, რომელიც, თურმე, დიდი თანხების გამომუშავების საშუალებას არ აძლევდა და მოგებული ბრძოლების პონორარეზიდან სოლიდურ პროცენტს უტეხავდა.

ყველაფერი კი 1988 წელს IBF-ის ვერსიით დაუმარცხებელ ჩემპიონ მაიკლ ლეინქსთან პირველი სუპერჩემპის ორგანიზებით დაიწყო, რამაც დახარჯული 11 მილიონის სამაგიეროდ მოგებული 25 მილიონი დოლარი მოუტანა, სულ კი იმ მოვლენის შედეგად ატლანტიკ-სიტი კამინომ 344 მილიონი გამოიმუშავა.


რაც შეეხება რკინის ლევენდის დემოტს, მან პირველივე რაუნდში ნოკაუტით გაიმარჯვა, რის შემდეგაც ყოფილ მენეჯერთან სასამართლო დავაში ფინანსურ მრჩევლად სწორედ სახელმწიფოს მომავალი მეთაური დანიშნა.

მოკლედ, აქედან მოყოლებული, ნოკაუტების მეფის კარიერა მთლიანად კინგის და ტრამპის კონტროლს დაექვემდებარა, რაც მისი კარიერისთვის მოგვიანებით საშედისწერო აღმოჩნდა - კინგი დაკავებული გახლდათ ბრძოლების ორგანიზებით, ტრამპი კი მოკრივეს იყენებდა, როგორც კამინოს სახეს. უფრო მეტიც - მეგობრივი მიაჩნვებს, რომ დასახლებულმა დეუტამ გადაწყვეტი მიიღო შეიტანა მაიკის ზედმეტი ფუფუნებითა და

განვივრებით გარყვნაში... სებათა შორის, ტრამპი მონაწილეობდა მასტერ დავლასთან იმ ჩხუბის ორგანიზებაშიც, რომელიც ტაისონმა ტიტული დაკარგა, რადგან არ მომზადებულა შეხვედრისთვის და ლოთოთის პარალელურად ცოლთან გამოვრების სეცდას შეძახვებთან კოტრიალით იქარავედა.

გვერდს ვერ აწვევით 18 წლის დემირე ვაშინგტონის გაუპატიურებისათვის ციხეში მოხვედრის ფაქტსაც, როცა ტრამპმა ტაისონისთვის ადლოკატეები დაიჭირა და ითხოვდა დასპრობილგები მისთვის სავარჯიშო პირობების შექმნას. ტახტზე დაბრუნების ეს ცდა განწირული აღმოჩნდა.

დონალდის სპორტულ თავდადასავლგეს კი წერტილი 1991 წლის აპრილში მის მიერვე დასპონსორებული პოლიფოლდ-ფორმენის ბრძოლის გაუქმებით დაესვა, რაც ურავში აშშ-ის სამხედრო ოპერაციის დანებებით ახსნა.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 1922 წლიდან

სადაც მართალნი განისვენებენ!



გარდაიცვალა ცნობილი ინჟინერ-ენერგეტიკოსი, თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე ნიკოლოზ (ნიკო) ლაიშვილი.

ბატონმა ნიკომ დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი და მუშაობდა თბოენერგეტიკის კათედრაზე.

სხვადასხვა წლებში იკავებდა მაღალ სამთავრობო თანამდებობებს – იყო პარლამენტის სამი მოწვევის დეპუტატი, თბილისის მერი, სახელმწიფო მინისტრი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე.

ბატონი ნიკო თავმდაბალი და დარბაისელი, მეუღლე, შვილებზე და ახალგაზრდებზე დღემუდამ მზრუნველი, ყველასათვის კეთილმოსურნე და შემწე გახლდათ. მისი სახელი დიდხანს იცოცხლებს ახლობლებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელთა გულში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

უფალმა დაამკვიდროს ბატონი ნიკოს უკვდავი სული, სადაც მართალნი განისვენებენ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **დავით გურბენიძე**

საქართველოს ენერგეტიკოსთა ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს ბატონ ნიკო ლევიშვილის ოჯახს და სრულიად საქართველოს ღირსეული მამულიშვილის, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, თბილისის ყოფილი მერის, დედაქალაქის საპატიო მოქალაქის, საქართველოს პარლამენტის სამი მოწვევის დეპუტატის

ნიკო ლაიშვილის

გარდაცვალების გამო. მისი სახელი დაუვიწყარი იქნება დედაქალაქისა და ქვეყნის საზოგადოებისთვის.

საქართველოს ენერგეტიკოსთა ასოციაციის სახელით – **ვაჟა მებრეველი**

გივი შულაროვი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, მეგობრობის ეტალონის, მაღლიანი, კეთილი და სანიმუში პიროვნების

ნიკო ლაიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

გარდაიცვალა ნამდვილი თბილისელი ვაჟკაცი, ერთგული მეგობარი

ჯემალ ბაქიძე

უესამძიმრებთ მის ოჯახსა და ახლობლებს. **აჩიკო გობელია, იური ოსიპოვი, ზურაბ ცხიტიშვილი.**

თენგიზ ქავთარაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს მადონა და საშა ნაჭყებებს მეუღლისა და სიძის, გამორჩეული პიროვნების

ნიკოლოზ (ნიკო)

შალვას ქე ქავთარაძის გარდაცვალების გამო.

არღვიწყება

ქალაქისა და ხალხისთვის თავდადებული კაცი ნიკო ლაიშვილის ხსოვნას



საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება უკეთილშობილესი პიროვნების, საზოგადო მოღვაწის, თბილისის ყოფილი მერის, დედაქალაქის საპატიო მოქალაქის ნიკო ლაიშვილის გარდაცვალებას. ალბათ, ბევრმა არც იცის, რომ ბატონი ნიკოს უდიდესი მონდომებითა და მცდელობით, გასული საუკუნის 90-იან წლებში დედაქალაქის, და არამარტო დედაქალაქის, მოსახლეობა გადაურჩა შიმშილს და შეუმსუბუქდათ ის გაჭირვება, რომელიც სამოქალაქო ომმა და დაპირისპირებებმა გამოიწვია. მისი უშუალო თავდადება და კავშირებით მეგობრული რესპუბლიკებიდან შემოტანილი იქნა დიდი რაოდენობით სანჯავი, რომელმაც აამუშავა პურის ქარხნები.

მრავალ სიკეთესთან ერთად ესეც ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იღვანოს კაცმა მშობლიური ქალაქისა და სამშობლოს კეთილდღეობისთვის. ასეთი ღირსებით სავსე ადამიანი გახლდათ ბატონი ნიკო, ნაღდი და ძირძველი თბილისელი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის სახელით, კავშირის თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მალხაზ დოლიძე**, საქართველოს პურპროდუქტების მინისტრის ყოფილი მოადგილე **იური ოსიპოვი**.

ოზარ ოსიყაშვილი

ბოლო არ უჩანს ერის ცნობილი შვილების სამარადისო სასუფეველში გადანაცვლებას. სამშობლოზე შეყვარებული კიდევ ერთი გულიანი კაცი გამოაკლდა ჩვენს რიგებს, კაცური კაცობის ნიმუში, ეროვნული ღირსების მატარებელი, რაინდული თვისებებით და სიკეთით სავსე, ჩვენი მეგობრობის და ძმობის გამლამაზებელი და გამამშვენებელი



ოზარ ოსიყაშვილი.

თავისი ცხოვრების მანძილზე, ბავშვობიდან გარდაცვალებამდე, კაცურკაცობის დროსა ატარა უმაღლეს დონეზე. ასეთი კაცებით სავსე იყო ჩვენი საქართველო, მაგრამ წლების მიმდინარეობამ გამოიწვია დეფიციტი ასეთი მამაკაცებისა.

მეგობრები

უმიძეისი ტრაგედია სოფელ საბერიოში



ხუთი ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა ოკუპირებულ ვალში მომხდარ ხანძარს. ცუცხელი სოფელ საბერიოში ჩოლარების სახლში გაჩნდა. მესამე მარტო მარტო ბავშვების გადარჩენა ვერ მოახერხეს. ხანძრის გამომწვევი მიზეზები ჯერჯერობით უცნობია.

აფხაზური ტელეგრაფების წინასწარი ინფორმაციით, ბებია გაბჭურის დანთებას ნათის და ბენზინის ნარევით ცდილობდა, რის გამოც ხანძარი გაჩნდა. ყველაზე პატარა დაღუპული 4 თვისაა. შემთხვევის დროს მცირეწლოვნები ბებიასთან ერთად იმყოფებოდნენ. მამყელებმა მხოლოდ ბების გადარჩენა შეძლეს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაგრძნობას აცხადებს ოჯახს და მთელ საგვარეულო-სანათესაოს ამ უმიძეისი მწუხარების ჟამს.

გიორგი კვირიკაშვილი:

ამბროლაურის აეროპორტს ნიკო ლაიშვილის სახელი მოუხდაბოდა


– პოზიტიური და ოდნავ გაკვირვებული „კაცო!“ და მერე პატარა დაფიქრებული პაუზა – ნიკო ლეიშვილმა ასეთი საუბრის წამოწყება იცოდა.

სულ რაჭაზე ან თბილისზე მესაუბრებოდა ხოლმე, პირადი საკითხით არასოდეს მოუმართავს. 2016 წლის ერთ დღესაც მოვიდა მთავრობის ადმინისტრაციის, ჩემს ოფისში. იმ დღის საუბარი ამბროლაურზე დაიწყო: „კაცო, ამბროლაურში ძველ დროს იყო ძალიან საჭირო აეროპორტი, სამხუხაროდ ყველამ მიიფიცა ეგ ამბავი...“ შევკვირვებ გუნდი იმ საღამოსვე, სასწაულად, ვიმუშა-

ვეთ ყველამ – რამდენიმე თვეში ნულიდან დავაპროექტეთ, ავაშენეთ და 2017 წლის ძველით ახალ წელს საზეიმოდ გავხსენით ამბროლაურის ულამაზესი აეროპორტი. საოცრად ემოციური დღე იყო. მეცხრე ცაზე ვიყავით ყველა და განსაკუთრებით იდეის ავტორი, ჩვენი ბატონი ნიკო.

ეს, უპირველესად, რაჭველების და, რა თქმა უნდა, დღევანდელი ხელისუფლების პრეროგატივაა, მაგრამ მოკრძალებულად ვიტყვი: იმ აეროპორტს ნიკო ლეიშვილის სახელი მოუხდაბოდა!...

საქართველო



საქართველო!

კახელი თუ იმერელი, მეგრელი თუ რაჭველი ხარ, დავით აღმაშენებლის გულისფიცარს აწერინხარ, შენ დიდგორის მძლეველი და შოთას ლექსის დამწერი ხარ! შენ მსოფლიოს დიდ რუკასე უფლის ტერფად ამჩნევინხარ,

კვლავ გიბეჭევენ? ფუი ეშმაკს — გამარჯვებებს ნახევრი ხარ, სიუვარული რომ ადიდო, ამისათვის გაჩენილხარ, უკვდავებში მოგიკითხონ, მოკვდავებში არ წერინხარ!

გიუმ ზარნაძე
1 იანვარი, 2025 წ.

უკრაინული მედია: ოლონდ ომი დათავრდეს და... ბერიშორიას დათვით!

შსსამხრეთში გაიზარდა უკრაინელების წილი, რომლებიც მზად არიან რუსეთთან ტერიტორიული დათმობისთვის ომის დასრულების მიზნით. ინტერნეტის ამის შესახებ უკრაინული გამოცემა UNIAN-ი კვივის სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ 2024 წლის 2-17 დეკემბრის პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით ავრცელებს.

იმ აღმნიშვნის წილი, ვინც კატეგორიულად ეწინააღმდეგება რაიმე დათმობას. თუმცა, მიუხედავად ყველა რთული გარემოებისა, დეკემბრის მდგომარეობით, უკრაინელების 51% ტერიტორიული დათმობების წინააღმდეგ გამოდიოდა (ოქტომბრის დასაწყისში ეს მაჩვენებელი 58%-ს შეადგენდა), — აღნიშნეს კვივის სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტში.



თავზოც ახალ ჰაზს ჰქვია!

5 იანვარს, დილის 05:10 საათზე, ტოკიოს კოტოს რაიონის ტოიოსუს თევზის მარბრებზე გამართულ წლის პირველ აუქციონზე ცისფერი ტუნა (თინუსი) 207 მილიონ იენად (1,3 მილიონი აშშ დოლარი) გაიყიდა, რაც ტუნაში ოდესმე გადახდილ ფასსა შორის მერვე ყველაზე მაღალი ფასია.

— თქვა 73 წლის მეფევე მახაპირო ტაკეუჩიმ იმ მომენტის გახსენებისას, როცა შაბათის დილით გიგანტური ტუნა დაინახა. „წლის პირველ ტუნას წარმატება მოაქვს. ჩვენ გვსურს ხალხის გაღიმება საკვების საშუალებით“, — თქვა შინჯი ნაგაომ Sushi Ginza Onodera-ს პრეზიდენტმა.



დღესასწაულთა დღესასწაული

7 იანვარს მთელი მართლმადიდებელი ქრისტიანული სამყარო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულს იესო ქრისტეს ხორციელად შობას. ...უფალმა თავისი გამოუთქმელი მონყალებით დაცემულ კაცობრიობას გამოსხნის აღთქმა დაუდო.



დაკარგავდა. წინასწარმეტყველმა დანიელმა გვაუწყა, რომ ქრისტეს მუყუფება დადგება მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდება სამეფო სამყარო, როგორც რკინა, რომელიც ყველაფერს დაქვევს და დაარღვევს და რომ ქვეყნიერების მხსნელი იერუსალიმის აღდგენის შესახებ ბრძანების გამოსვლიდან 70 შვიდეულის შემდეგ მოველინება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ქვეყნიური მეფის ნებამ მოუხმო იოსებს და მარიამს მეთლემისაკენ.

გიული ლიპარტია

თალიბანმა ფანჯრები აკრძალა ისეთ ადგილებში, საიდანაც შეიძლება ქალები ჩანდნენ

თალიბანის უზენაესმა ლიდერმა შაიბატულა ახუნდზადამ გამოსცა ბრძანებულება, რომელიც კრძალავს ფანჯრების გაკეთებას საცხოვრებელი შენობებისთვის, რომელთა წინ მდებარე ტერიტორიებს, როგორც წესი, ქალები გამოიყენებენ.

დაცული იყო ახალი სტანდარტები. ასეთი ფანჯრების არსებობის შემთხვევაში შენობების მფლობელებმა უნდა აავსონ კედელი ან ხედი სხვა საშუალებებით ჩაკეტონ.

„ქალების თვალთვალმა, რომლებიც საშობარეულოებში და ეზოებში მუშაობენ ან წყალს იღებენ ჭიდან, შესაძლოა, უხამსი ქმედებები გამოიწვიოს“, — ნათქვამია ბრძანებულებაში.



უხსოვრი პალუტის კურსი: აუშ დოლარი - 2.8158; აშრო - 2.8955; ბრიტანული გირპანა სტერლინგი - 3.4905; 100 რუბლი - 2.5197; თურქული ლირა - 0.0796; აზერბაიჯანული მანათი - 1.6563; 1000 სომხური დრამი - 7.0972.

საქართველო

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულაია (599-36-00-35); რედაქტორის მოადგილე მამუკა ვაშაკიძე (597-22-07-04), შემოქმედებითი ჯგუფი: ალექს ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბეიძე, გია პლატონიშვილი, პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი რუსუდან ქობულაია (577-77-27-17), სტილისტ-კორექტორები: ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი, ოპერატორი შორენა გვილია.

დამკაბადონებლები გიორგი მახარაშვილი, არჩილ სიხარულიძე. გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი გიორგი ნადარეიშვილი

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

იხილეთ სტამბა „კოლორი“ გ. ბალდავასის №3. კოლორი ჯგუფი. UAC(უაპ)070.4(479.22) C-323. 2 009882 616932

რეკლამისთვის დაწვით: 577-77-27-17 rkobulia29@gmail.com ანგარიშის ნომერი GE90BG000000538329790

გაზეთის მომწოდებელი ნომერი გამოცემა ხუთშაბათს, 9 იანვარს